კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები

- ✓ **ადამიანის უფლებების დაცვა**
  ჩვენი კომპანია პატივს სცემს და იცავს ადამიანის უფლებებს, შესაბამისად, მხარს ვუჭერთ თანასწორობასა და სამართლიანობას ჩვენს საქმიანობაში და თანამშრომლების მიმართ.

- ✓ **დისკრიმინაციის აკრძალვა**
  „ზემონი'' მკაცრად ეწინააღმდეგება ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას. ჩვენ ვქმნით ინკლუზიურ სამუშაო გარემოს, სადაც ყველა თანამშრომელი თავს გრძნობს დაცულად და თავისუფლად.

- ✓ **დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა**
  ჩვენ საქმიანობაში ხელს ვუწყობთ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და მათთან თანამშრომლობას. ჩვენ მუდმივად გვაქვს კომუნიკაცია ჩვენს პარტნიორებთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან და საზოგადოებასთან.

- ✓ **ბიზნეს ეთიკა და ანტიკორუფცია**
  „ზემონი“ იცავს ბიზნეს ეთიკის სტანდარტებს და მკაცრად ეწინააღმდეგება კორუფციას. ჩვენ ვუზრუნველვყოფთ გამჭვირვალობასა და სამართლიანობას ჩვენს საქმიანობაში.

- ✓ **რისკების მართვა**
  ჩვენი კომპანია მართავს და ამცირებს რისკებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ჩვენს საქმიანობაში. ჩვენ ვცდილობთ უზრუნველვყოთ უსაფრთხო და სტაბილური სამუშაო გარემო, როგორც ჩვენი თანამშრომლებისთვის ისე პარტნიორებისათვის.

- ✓ **ჯანდაცვა და უსაფრთხოება**
  „ზემონი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. ჩვენ ვქმნით უსაფრთხო და კომფორტულ სამუშაო პირობებს. ასევე ხელს ვუწყობთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

- ✓ **კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვა**
  ჩვენი კომპანია აქტიურად მუშაობს კლიმატის ნეგატიური ცვლილების წინააღმდეგ და გარემოს დაცვის მიმართულებით. ჩვენ ვცდილობთ შევამციროთ ჩვენი ეკოლოგიური კვალი და ხელი შევუწყოთ გაეროს გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.